საბანკო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენისა და დაკმაყოფილების რეგულირების პერსპექტივები

სალომე ქვრივიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათა ერქვანია (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (Master of Laws, LL.))

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ქვრივიშვილი

16 ივნისი, 2023 წელი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პროგრესირებადი ეკონომიკური პროცესის პარალელურად, ყოველდღიურად იზრდება საბანკო სექტორის მნიშვნელობა. ამის გათვალისწინებით, სამართლებრივ და კომერციულ სივრცეში საბანკო მომსახურება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს. თანამედროვე ეკონომიკური სექტორი იცნობს მრავალი სახის საბანკო პროდუქტს, რომელშიც მოიაზრება საბანკო გარანტიაც. ცხადია, მსოფლიოში მიმდინარე კომერციული და ეკონომიკური პროგრესის ფონზე, სულ უფრო იზრდება საბანკო გარანტიის დანიშნულება და როლი.

სამართლებრივ ურთიერთობებში საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ეფექტურ და მოქნილ მექანიზმს. საბანკო გარანტია ურთიერთობის მხარეებს ანიჭებს იმის შესაძლებლობას, რომ ძირითადი მოთხოვნა უზრუნველყონ ფულადი გარანტიით. საბანკო გარანტია არ არის დამოკიდებული უზრუნველყოფილ ვალდებულებაზე. სწორედ აღნიშნული მახასიათებელი გამოარჩევს მას მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან. წარმოდგენილი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით კი, საბანკო გარანტიას აქვს დიდი პერსპექტივა კომერციულ და სავაჭრო ურთიერთობებში.

საბანკო გარანტიის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის, შემოწმების და დაკმაყოფილების პროცედურები იყოს სრულყოფილად რეგულირებული. ამ ეტაპების კომპლექსურად მოწესრიგება განაპირობებს საბანკო გარანტიის სამივე სუბიექტის უფლებრივ მდგომარეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი ორიენტირებულია იმაზე, რომ იდენტიფიცირდეს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები საბანკო გარანტიის რეგულირების ნაწილში. იდენტიფიცირებული პრობლემების საფუძველზე კი შემუშავდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისი ოპტიმალური რეგულირების პერსპექტივები. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა ფაქტობრივად არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის

ახლებურ, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის რეგულაციების. ცხადია, ამგვარი მიდგომა წარმოადგენს პრობლემას, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ ჭრილში.

წარმოდგენილი ნაშრომი მკითხველს მისცემს შესაძლებლობას, რომ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს ახლებური ხედვა. ნაშრომში წარმოდგენილ რეგულირების ოპტიმალურ მიდგომებს კი აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო და საინფორმაციო ხასიათი.

საძიებო სიტყვები: საბანკო გარანტია, ბენეფიციარი, პრინციპალი, გარანტი, მოთხოვნის წარდგენა, მოთხოვნის შემოწმება, მოთხოვნის დაკმაყოფილება, ზუსტი შესაბამისობის პრინციპი, არამართლზომიერი მოთხოვნა, რეგულაცია.

Abstract

Due to the progressive economic process that is taking place in the contemporary world, the importance of the banking sector is growing and developing day by day. In view of the above fact, banking services are amongst the most actual issues in the legal and commercial sphere. The modern economic and legal sector unites different types of banking products, including bank guarantees. Obviously, due to the current commercial and economic progress that is taking place in the world, the purpose and role of the bank guarantee is increasing.

In the legal relations, the bank guarantee is an effective and flexible mechanism for securing the claim. A bank guarantee is a legal opportunity to secure the main claim with a monetary guarantee. The bank guarantee does not depend on the secured obligation. It is the main feature that distinguishes it from other means of securing credit. Considering the presented legal nature, the bank guarantee has a great perspective in commercial and trade relations.

For the effective bank guarantee, it is important that the procedures of demand submitting, examining and complying have been highly regulated. The complexive regulation of these phases determines the legal status of all three participants of the bank guarantee. The presented scientific research is mainly focused on identifying the gaps in the Georgian legislation in the part of bank guarantee regulation. In accordance with the identified problems, there is developed the perspectives of optimal regulation corresponding to the international legal system. It should also be mentioned that the legislation of Georgia does not actually provide for the new regulations of bank guarantee, corresponding to international standards. Obviously, such legal approach is a problem from a scientific and a practical point of view.

As a result, the presented research will give the reader the new views about the regulation of bank guarantees. Also, presented optimal regulations have only recommendatory and informational purpose.

KEY WORDS: bank guarantee, beneficiary, principal, guarantee, application, examination, complying demand, the doctrine of strict compliance, fraud, regulation.